აკრედიტებულია: გადაწყვეტილება N 105
30.04.2019

საგანმანათლებლო პროგრამის	*მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების*
პროგრამის ტიპი	**დამოუკიდებელი პროგრამა**
პროგრამის მოცულობა ECTS	60 კრედიტი. 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. ორი სემესტრი, 1 სემესტრი მოიცავს 19 კვირას, აქედან: 15 კვირა ეთმობა სააუდიტორიო სამუშაოს; 4 კვირა - საგამოცდო სესიებს; პედაგოგიური მოდული - 28 კრედიტი; დარგობრივი მოდული - 32 კრედიტი.
სწავლებისენა	ქართული
სწავლის ღირებულება	1900 ლარი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლის უფლება აქვს არანაკლებ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს. პროგრამაზე დაიშვება ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისი დარგის ბაკალავრის, მაგისტრის ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც საგნობრივი კომპეტენცია დადასტურებული აქვს შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ ორგანიზებული გამოცდით სახვით და გამოყენებით ხელოვნებაში. მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, ასევე აუცილებელია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში. დეტალური ინფორმაცია პროგრამაზე მიღების მოთხოვნებისა და სასპეციალიზაციო გამოცდის ჩატარების ფორმის, შეფასების სისტემისა და კრიტერიუმების შესახებ განთავსდება ბხსუ-ს ვებ-გვერდზე: www.batu.edu.ge გამოცდა ჩატარდება სასწავლო წლის დასაწყისში. (დანართი 1).
მისაღები კონტინგენტი	პროგრამაზე სტუდენტთა მიღება ხორციელდება ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის მიერ დამტკიცებული კონტინგენტის მიხედვით.
პროგრამის მიზანი	ქვეყნაში მიმდინარე საგანმანათლებლო რეფორმის პრიორიტეტული მიმართულებაა თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი მასწავლებლის მომზადება და პროფესიული განვითარება. პროგრამის მიზანია: ➢ თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი, მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული კომპეტენციის მქონე სკოლის დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადება; ➢ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული და დარგობრივი უნარ-ჩვევების, საგნის სწავლების მეთოდიკის, მოსწავლის შეფასების კრიტერიუმების დაუფლება საგნობრივი პროგრამის მიმართულებების შესაბამისად (შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ხელოვნების აღქმა კონტექსტში, კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია) . ➢ ხელი შეუწყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მასწავლებლის მომზადებას, სწავლის, სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდოლოგიის ცოდნისა და უნარების მქონე სპეციალისტის რეალიზებას და კარიერულ წინსვლას. ➢ შრომის ბაზარზე არსებული სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების კვალიფიციური მასწავლებლის დეფიციტის აღმოფხვრა.
პროგრამის განხორციელების წესი	მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება დამოუკიდებელი საგანმანათლებლო პროგრამის სახით 1 სასწავლო წლის (2 სემესტრი) განმავლობაში.
სწავლის შედეგები	სწავლის მოსალოდნელი შედეგები და კომპეტენციები შესაბამისობაშია მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემით გათვალისწინებული უფროსი მასწავლებლის სტატუსის შედეგებთან.
სწავლის შედეგი	

დარგობრივი კომპეტენციები	
ცოდნა-გაგება	**პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება:** ➢ იცნობს სასწავლო პროცესში დიფერენცირებული მიდგომების ძირითად პრინციპებს; ➢ იცის, როგორ შექმნას მოსწავლისთვის მამოტივირებელი სასწავლო გარემო - ფიზიკური, სოციალურ-ემოციური და კოგნიტური; ➢ იცის როგორ შექმნას ინკლუზიური, სწავლისა და მოსწავლეებისადმი კეთილგაწყობილი სასწავლო გარემო; ➢ იცის კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები; ➢ იცის სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები და აცნობიერებს თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობას საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. ➢ იცის კლასის მართვისა და კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარების ეფექტიანი სტრატეგიები. ➢ იცის სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის ჩამოყალიბების ხელშემწყობი ძირითადი ფაქტორები და აცნობიერებს თანამშრომლობითი გარემოს მნიშვნელობას საკუთარ პროფესიულ განვითარებასა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაში. **სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა:** ➢ იცნობს ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, ეროვნულ სასწავლო გეგმას; იცის ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტებზე დაყრდნობით, მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვა; ➢ იცის საგანმანათლებლო ბეჭდური და ICT რესურსების მოძიება, მათი შექმნა და სასწავლო პროცესში მიზნობრივი გამოყენება; ➢ იცის პიროვნების განვითარებისა და განათლების ძირითადი თეორიები, აცნობიერებს მათს მნიშვნელობას მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და წარმართვისას. ➢ იცნობს მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ძირითად მიდგომებს; ➢ იცის სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი, მოსწავლეზე ორიენტირებული სტრატეგიები და მათი გამოყენება პრაქტიკაში; ➢ აცნობიერებს კლასგარეშე საქმიანობის როლსა და მნიშვნელობას მოსწავლეთა მოტივაციის, სწავლის და მრავალმხრივი განვითარებისათვის. **სასწავლო პროცესის შეფასება**: ➢ იცის მოსწავლის შეფასება (მ.შ. სსსმ მოსწავლის) ეროვნულ სასწავლო გეგმასთან მიმართებით: იცის შეფასების ტიპები, პრინციპები მეთოდები. იცის როგორ გააანალიზოს შეფასების შედეგები; ➢ იცის შეფასების კრიტერიუმების ჩამოყალიბებისა და რუბრიკების შედგენის ძირითადი პრინციპები, მათზე დაყრდნობით მოსწავლეთა ობიექტური შეფასება; **პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა:** ➢ იცის პროფესიული განვითარების ძირითადი პრინციპები, ფორმები და გზები; ➢ იცნობს განათლების მეცნიერებებში თანამედროვე ტენდენციებსა და კვლევებს. ➢ გააჩნია დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებული ცოდნა საგნობრივი პროგრამის მიმართულებებში (შემოქმედებითობა და პრაქტიკული უნარ-ჩვევები, ხელოვნების აღქმა კონტექსტში, კომუნიკაცია და ინტერპრეტაცია); აქვს დაწყებითი და საბაზო საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის პროფესიული ცოდნა;
პრაქტიკული/სხვ. უნარები	**პოზიტიური სასწავლო გარემოს ფორმირება:** ➢ შეუძლია შექმნას დადებითი სასწავლო გარემო მოსწავლეების ინდივიდუალური, სპეციალური საჭიროებების, მათი კულტურული მრავალფეროვნების გათვალისწინებით და ხელი შეუწყოს კლასში თითოეული მოსწავლის ინტეგრაციას და მათ მოტივაციას; ➢ შეუძლია უსაფრთხო თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნა თითოეული

	მოსწავლის პიროვნული, სოციალური-ემოციური და კოგნიტური განვითარებისთვის; ➢ შეუძლია სსსმ მოსწავლეების ინტეგრირება სასწავლო გარემოში სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე. ➢ შეუძლია კლასის მართვა, კონფლიქტების გამომწვევი მიზეზების გაანალიზება და ადეკვატური რეაგირება; ➢ შეუძლია მოსწავლეებთან, მშობელთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია კონფლიქტების პრევენციისა და მოგვარებისათვის; ➢ შეუძლია მოსწავლეებს შორის პოზიტიური ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა შესაბამისი სტრატეგიების გამოყენებით, მათი ინდივიდუალური განსხვავებების გათვალისწინებით. ➢ შეუძლია მოსწავლეებთან, კოლეგებთან, თემთან ეფექტური კომუნიკაცია და საქმიანი თანამშრომლობა; ➢ შეუძლია მშობელთა (სხვა კანონიერ წარმომადგენლებთან) ჩართულობის ხელშეწყობა მოსწავლეთა გააზრებულად სწავლებისთვის. **სასწავლო პროცესის დაგეგმვა და წარმართვა:** ➢ შეუძლია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების, ეროვნული სასწავლო გეგმის, სკოლის პრიორიტეტებისა და მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით გრძელვადიანი და მოკლევადიანი სასწავლო გეგმების შემუშავება; ➢ შეუძლია გაკვეთილის დაგეგმვა ყველა კომპონენტისა და მათ შორის კავშირების გათვალისწინებით; დაგეგმვისას შეუძლია შიდასაგნობრივი და საგანთაშორისი კავშირების გათვალისწინება; ➢ შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით შეუძლია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება; ➢ შეუძლია მოიძიოს, შეარჩიოს, შექმნას და გამოიყენოს დამხმარე რესურსი და ICT ტექნოლოგიები სასწავლო გეგმის მიზნებისა და კონკრეტული კლასის მოსწავლეების საჭიროებების გათვალისწინებით; ➢ შეუძლია პიროვნების, განვითარებისა და განათლების თეორიების ცოდნის ეფექტიანად გამოყენება სასწავლო პროცესში; ➢ შეუძლია მოტივაციის ამაღლების სტრატეგიების ეფექტიანად შერჩევა მოსწავლეთა ინდივიდუალურ პროგრესზე დაკვირვებითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით; ➢ შეუძლია მოსწავლეებში საბაზისო აკადემიური და სოციალურ ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა, მათი ასაკობრივი და ინდივიდუალური თავისებურებების გათვალისწინებით; ➢ შეუძლია მიზნობრივად გამოიყენოს სწავლისა და სწავლების მრავალფეროვანი სტრატეგიები. ➢ შეუძლია კლასგარეშე საქმიანობის (საკლუბო, საწრეო, სასწავლო და სოციალური პროექტების) დაგეგმვა მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. ➢ შეუძლია განუვითაროს მოსწავლეებს ხელოვნების ნიმუშების აღქმის, შეფასების, ანალიზის უნარები; ➢ შეუძლია ხელოვნების პრინციპების, მხატვრული ხერხებისა და ელემენტების სწავლება ნამუშევრის შექმნისას; ➢ გააჩნია შემოქმედებითი იდეების პროდუცირების უნარი მოსწავლის სტანდარტის მოთხოვნების და მოსწავლეთა შესაძლებლობების შეთავსებით; ➢ შეუძლია სასწავლო მიზნის განხორციელებისათვის საჭირო უნარ ჩვევების დადგენა და საგნობრივ პროგრამაზე დაფუძნებული ისეთი სასწავლო გეგმის შედგენა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ცოდნას, ინტერესებს, შესაძლებლობებს, შეხედულებებსა და გამოცდილებას; **სასწავლო პროცესის შეფასება**: ➢ შეუძლია მოსწავლეთა შეფასების მეთოდების მიზნობრივი გამოყენება თითოეული მათგანის მიღწევისა და პროგრესის შესაფასებლად; ➢ შეუძლია განმავითარებელი შეფასების ეფექტიანად გამოყენება თითოეული

	მოსწავლის კოგნიტური და პიროვნული განვითარებისათვის. ➢ შეუძლია შეფასების სქემებისა და რუბრიკების შედგენა, მათზე დაყრდნობით მოსწავლეთა ობიექტური შეფასება. **პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა**: ➢ თვითშეფასების, კოლეგებისაგან, დირექციისაგან, მოსწავლეებისაგან, მშობლებისაგან მიღებული უკუკავშირისა და მოსწავლეთა საჭიროებების ანალიზის საფუძველზე შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კომპლექსური, თანმიმდევრული და კრიტიკული ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და პროფესიული განვითარების შესაბამისი ღონისძიების დაგეგმვა. ➢ აქვს უნარი, მოიძიოს და გამოიყენოს განათლების მეცნიერებაში ახალი ცოდნა, ტენდენციები და თანამედროვე კვლევები საკუთარი პროფესიული განვითარებისა და სასკოლო პრაქტიკის სრულყოფისათვის.
დამოკიდებულებები და ღირებულებები	➢ აცნობიერებს განათლების ინკლუზიურობისა და მოსწავლეთა მოტივაციის მნიშვნელობას პოზიტიური, უსაფრთხო/კონფლიქტებისგან თავისუფალი სასწავლო გარემოს შექმნისათვის; ➢ აცნობიერებს მოსწავლეებთან, მშობლებთან, კოლეგებთან, თემთან თანამშრომლობის მნიშვნელობას უსაფრთხო (ფიზიკური, სოციალური და ემოციური) სასწავლო გარემოს ფორმირებისათვის. ➢ აცნობიერებს, რომ ზოგადი განათლების ჩარჩო დოკუმენტები და განათლების მეცნიერებაში დაგროვილი ცოდნა მისი პედაგოგიური საქმიანობის ამოსავალია; მისთვის მნიშვნელოვანია თითოეული მოსწავლე, როგორც პიროვნება; სწამს, რომ დიფერენცირებული მიდგომის გამოყენება სასწავლო პროცესში ხელს შეუწყობს როგორც მოსწავლეთა მოტივაციის ზრდას, მის პიროვნულ და კოგნიტურ განვითარებას, ასევე ინტეგრაციას სასკოლო საზოგადოებაში. ➢ ორიენტირებულია უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე, სხვადასხვა გზით სიახლეების ათვისებასა და მათ პრაქტიკაში დანერგვაზე; ➢ აცნობიერებს კვლევაზე დაფუძნებული სასკოლო პრაქტიკის სრულყოფის მნიშვნელობას; ➢ გაცნობიერებული აქვს ხელოვნების უნივერსალური ენის საშუალებით ეროვნულ და მსოფლიო კულტურულ ფასეულობებთან ზიარების მნიშვნელობა. ➢ იცის კულტურული ფასეულობების პატივისცემა და შეუძლია მისი საზოგადოებაში დამკვიდრება.
საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულის ზოგადი კომპეტენციები	**ანალიზისა და სინთეზის უნარი:** ➢ შეუძლია რთული, არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკულად შეფასება, მათი დამოუკიდებელი ანალიზი, ანალიზის შედეგების გასაგებად გადმოცემა და შემდგომ მათი გამოყენება. შეუძლია ახალი ინფორმაციისადმი კრიტიკულად მიდგომა, სხვადასხვა მონაცემის გაანალიზება, შეჯამება, ინტეგრაცია, დასკვნის გამოტანა, მიღებული შედეგების ანალიზისას მტკიცებულებების ან საწინააღმდეგო არგუმენტების მოყვანა; **ინფორმაციის მართვა:** ➢ შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოპოვება, დიდი მოცულობის ინფორმაციის დამუშავება და მისი კრიტიკულად შეფასება, პროფესიული საქმიანობისას აქვს მოძიებული ინფორმაციის გამოყენების უნარი; **პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება:** ➢ დამოუკიდებლად შეუძლია პრობლემის გადაჭრა/გადაწყვეტილების მიღება, გადაჭრის გზების განსაზღვრა, მოსალოდნელი შედეგების ანალიზი და საბოლოო გადაწყვეტილების მიღება; **ჯგუფში მუშაობის უნარი:** ➢ აქვს ჯგუფში მუშაობის უნარი, როგორც რიგით წევრს, ასევე- ლიდერს. შეუძლია ამოცანების მკაფიოდ ფორმულირება, ჯგუფის წევრებთან შეთანხმება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და შესაძლებლობების ადეკვატურად შეფასება; **კომუნიკაციის უნარი:** ➢ აქვს დაკვირვების, მოსმენის, კითხვის დასმის, აგრეთვე არავერბალური კომუნიკაციის უნარი; შეუძლია შეხვედრებში მონაწილეობა, თავისი მოსაზრებების ზეპირსიტყვიერად და წერილობით გადმოცემა, შეუძლია

	პროფესიულ კონტექსტში მოლაპარაკების წარმართვა დაკონფლიქტების მოგვარებაში მონაწილეობა; **სწავლის/ცოდნის მუდმივი განახლების უნარი:** ➢ შეუძლია სასწავლო-საინფორმაციო რესურსების სრული სპექტრის გამოყენება, საკუთარი სწავლის პროცესის მართვა. აცნობიერებს ცოდნის განუწყვეტელი განახლების აუცილებლობას; აქვს საკუთარი ცოდნისა და უნარ-ჩვევების ობიექტურად შეფასების უნარი; **ახალ გარემოსთან ადაპტაციის უნარი:** ➢ უნარი-კოლექტივში პრაქტიკული მუშაობის ჩვევები, პროფესიული სუბორდინაციის/ადაპტაციის უნარი, ახალი ტექნოლოგიების ათვისების უნარი; **დამოუკიდებლად მუშაობის უნარი:** ➢ აქვს დროის ორგანიზების, პრიორიტეტების შერჩევის, ვადების დაცვისა და შეთანხმებული სამუშაოს შესრულების უნარი. შეუძლია თავის საქმიანობასთან დაკავშირებული რესურსების სწორად დაგეგმვა. პასუხს აგებს შესრულებულ სამუშაოზე და შეუძლია მისი შეფასება და კრიტიკა. ➢ შეუძლია საკუთარი პრაქტიკის კვლევის/ანალიზის/შეფასების საფუძველზე ინდივიდუალური პროფესიული განვითარების დაგეგმვა და სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების სტრატეგიის ჩამოყალიბება; ➢ შეუძლია პროფესიული სიტუაციების ანალიზი, მოსალოდნელი შედეგების განჭვრეტა და დასკვნის გაკეთება.
დასაქმების სფერო	მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატის მიღების შემდეგ კურსდამთავრებული უფლებამოსილია: ❖ ჩაერთოს მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში. ❖ დასაქმდეს ზოგადსაგანმანათლებლო საჯარო და კერძო სკოლებში (დაწყებით, საბაზო და საშუალო) საფეხურის სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლად; ❖ დასაქმდეს სახელოვნებო სტუდიებში, არაფორმალური განათლების სექტორში, სწავლების, წვრთნის, ფასილიტაციის თუ საორგანიზაციო მიმართულებით.
სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	სტუდენტი ფასდება 100 ქულიანი სისტემით, სადაც შუალედურ შეფასებას ეთმობა 0-60 ქულა, ხოლო დასკვნით გამოცდას 0-40 ქულა (60 ქულის ჩაშლა ინდივიდუალურია სხვადასხვა საგანში. იხ. სილაბუსები). სტუდენტი ვალდებულია შუალედურ შეფასებაში დააგროვოს არანაკლებ 21 ქულისა (0-20 ქულა „ჩაიჭრა“), წინააღმდეგ შემთხვევაში იგი გამოცდაზე არ დაიშვება. დასკვნითი გამოცდა - მინიმალური კომპეტენციის ზღვარი - 20 ქულა (0-19 ქულა „ჩაიჭრა“). სტუდენტს სასწავლო კურსი ათვისებულად ჩაეთვლება თუ ის მიიღებს ერთ–ერთს შემდეგი დადებითი შეფასებიდან: დადებითი შეფასება: (A) ფრიადი – მაქსიმალური შეფასების 91-100 ქულა; (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა; ორი სახის უარყოფითი შეფასება: (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 0-40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. სტუდენტი“ჩაიჭრა“ შეფასებას ღებულობს აგრეთვე: ა) თუ ის არ იქნა დაშვებული დასკვნით გამოცდაზე; ბ) ჩაიჭრა დასკვნით ან შესაბამის დამატებით გამოცდაზე. ● FX-ის ან დასკვნით შეფასებაში „ჩაიჭრა“ -ს მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5

	დღეში. ●დეტალური ინფორმაცია სასწავლო კურსის ფარგლებში დაგეგმილი შეფასების კრიტერიუმების შესახებ აღწერილია კონკრეტული სასწავლო კურსის სილაბუსში. სილაბუსით განსაზღვრული საკონტაქტო საათების გარდა სტუდენტს შეუძლია მიიღოს დამატებითი კონსულტაციები პროფესორ-მასწავლებელთაგან დადგენილი გრაფიკის შესაბამისად (კონსულტაციების გრაფიკი იხილეთ საინფორმაციო დაფაზე, სასწავლო ცხრილის გვერდით) ან დისტანციურად, ინტერნეტის მეშვეობით.
პროგრამის დასრულების მოწმობა	პროგრამის დასრულების შედეგად გაიცემა მასწავლებლის მომზადების სერთიფიკატი.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ევრისტიკული მეთოდი, ახსნა–განმარტებითი, წერითი, დემონსტრირების მეთოდი, ლექცია, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი, დისკუსია/დებატები, კითხვა-პასუხი, ჯგუფური მუშაობა, პედაგოგიური სიტუაციის ანალიზი, როლური თამაში, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, წიგნზე მუშაობის მეთოდები, გონებრივი იერიში, წერითი სამუშაო, პრეზენტაცია, შემთხვევის ანალიზი, კლასტერი (აბლაბუდა), ინდივიდუალური მუშაობა, დაკვირვება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი, სინთეზი, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, პორტფოლიოს წარმოება-პრეზენტაცია. **სტუდენტთა აქტივობები:** ლექციაზე დასწრება, ჯგუფში მუშაობა, პრაქტიკულ/ლაბორატორიულ მუშაობაში მონაწილეობა; პორტფოლიოს პრეზენტაციის მომზადება; დამოუკიდებელი მეცადინეობა; პედაგოგიური პრაქტიკა;პედაგოგიურ სიტუაციებზე მუშაობა, როლური თამაშები, მოხსენება კონფერენციაზე; წყაროზე და ტექსტებზე დამოუკიდებელი მუშაობა; ინტერნეტ–რესურსების დამოუკიდებლად მოძიება; დისტანციურად მიწოდებული დავალებების შესრულება, შემოქმედებითი პრაქტიკული ნამუშევრის შესრულება.
პროგრამის ხელმძღვანელი	მაია ჭიჭილეიშვილი - პროფესორი. ტელ: 27 16 64; 593 362 361 ელ ფოსტა: chichileishvilimaia@gmail.com

სასწავლო პროცესების სტრუქტურა

THf კოდი	სასწავლო კურსი მოდული	კრედიტ.	საათები			კრედიტების განაწილება	
			სულ	საკონტ	დამოუკ	I	II
	მასწავლებლის მომზადების პედაგოგიური მოდული	***28***					
THf-1	შესავალი პედაგოგიურ პროფესიაში	5	125	33	92	5	
THf- 2	განვითარების ფსიქოლოგია	5	125	33	92	5	
THf- 3	აქტიური სწავლების საფუძვლები	5	125	35	90	5	
THf- 4	ინკლუზიური განათლება	5	125	33	92		5
THf-5	განვითარებისა და სწავლის თეორიები	5	125	33	92		5
THf-6	ზოგადი განათლების სამართლებრივი საფუძვლები	3	75	27	48		3
	დარგობრივი მოდული - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება	***22***					
THf-7	სახვითი ხელოვნების პრაქტიკული კურსის სწავლების მეთოდიკა	6	150	50	100	6	
THf-8	დეკორატიული ხელოვნება (პრაქტიკული კურსი სწავლების მეთოდიკით)	6	150	45	105		6
THf-9	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების სტანდარტი სკოლაში (სასკოლო სახელმძღვანელოების ანალიზი)	5	125	33	92	5	
THf-10	სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სწავლების მეთოდიკა	5	125	35	90	5	
THf-11	პედაგოგიური პრაქტიკა (წინაპირობა 1,3,9,10)	**10**	250	40	210		10
	სულ	***60***				***31***	***29***

დანართი 1

მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელი

პროგრამაზე მიღების მოთხოვნები და შეფასების სისტემა

საგნობრივი კომპეტენციის დადასტურების შემდეგ, მასწავლებლის მომზადების პროგრამაზე ჩარიცხვისათვის, აუცილებელია უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება სპეციალობაში.

შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა ჩატარდება ზეპირი ფორმით. გამოცდაზე აპლიკანტი წარმოადგენს თავის მოსაზრებებს მოტივაციის, ზოგადი განათლების სფეროში მიმდინარე აქტუალური პროცესების, სკოლაში ხელოვნების სწავლების მნიშვნელობის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მიმართულებების სწავლების სპეციფიკის, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სიახლეების ირგვლივ ინფორმირებულობის, საკუთარი ინტერესების, სასკოლო სიტუაციების ანალიზის შესახებ.

აპლიკანტმა უნდა გამოავლინოს:

ა) პროგრამაზე სწავლის მოტივაცია;

ბ) ინფორმირებულობა საგნის სწავლების მიმართულებების, სპეციფიკის, ზოგადი განათლების სიახლეების ირგვლივ;

გ) არგუმენტირებული მსჯელობა პროგრამაზე სწავლის მოლოდინების, კარიერული პერსპექტივებისა და ინტერესების მიმართ საკუთარი დამოკიდებულებების შესახებ;

დ) აპლიკანტმა უნდა შეძლოს სასკოლო სიტუაციის პრობლემის განსაზღვრა და გადაჭრის გზების დასახელება.